დანართი # 3

## შ.პ.ს. "ჯეორესეტი"

ინფორმაცია მომსახურების შესახებ

| # | დამკვეთი | პროექტის დასახელება | მომსახურების გაწევის პერიოდი | განხორციელებუ ლი პროექტის ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი გლდანი-ნაძალადევის გამგეობა<br><br>**ხელშ:06 თებერვალი 2012 წ. #060501 /30/017 060503** | ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გზების მიმდინარე შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამნუშაობეის, წყალსადენ-კანალიზაციის და სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების, დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების შესყიდვაზე | 06.02.2012წ | 19580.00<br>7307.40 |
| 2 | ქალაქ ფოთი<br><br>**ხელშ:#070503/20/056 30.04.2012წ.** | ქალაქ ფოთში სანიაღვრე არხების ქსელების სისტემის მოწყობის, ს/სახლებში ფეკალური კანალიზაციის სისტემის მოწყობისა და ცენტრალურ კანალიზაციის ქსელში ჩარტვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას | 01.002.2012წ | 9999.00 |

შ.პ.ს. "ჯეორესეტი"-ს

დირექტორი

თ.შენგელია

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 06 05 01 / 06 05 03 /30/ 017

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისი, 06 თებერვალი 2012 წ.
ერთის მხრივ **ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა**, წარმოდგენილი გამგებლის ნოდარ სანდუხაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „ჯეორესეტი"**, წარმოდგენილი დირექტორის თამაზ შენგელიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით,

შემსყიდველმა **ჩაატარა ელექტრონული ტენდერი** (განცხადება **SPA120000477**, **CPV** კოდი – **71320000**) **ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გზების მიმდინარე შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების, წყალსადენ-კანალიზაციის და სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების** შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

| № | გასაწევი მომსახურების დასახელება | განზომილება | მოცულობა | ერთეულის ფასი (%) | შესყიდვის ობიექტის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გზების მიმდინარე შეკეთების და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით და ესკიზით. | კვ.მ. | 178 000.0 | 0.11 | 19580.0 |
| 2 | წყალსადენ-კანალიზაციის, სადრენაჟო და სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტის შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით და ესკიზით | გრძ.მ | 1 923.0 | 3.80 | 7307.40 |
| | სულ ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით | | | | 26 887.40 |

**26 887.40 (ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი)** ყველა სავალდებულო გადასახადის ჩათვლით. **(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").**

### 2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1 „დღე", „კვირა", „თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
2.2 დანართი – ნებისმიერი დამატებითი მასალა (წერილობით შედგენილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. შესყიდვის ობიექტი და გასაწევი მომსახურება (ტექნიკური პირობები)

3.1. **ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია:** ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე ჩასატარებელი გზების მიმდინარე შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების ასევე წყალსადენ-კანალიზაციის და სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების მომსახურება:

3.2 **ტექნიკური პირობები:**

- შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე გასვლა, აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მიზნით საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა, შესაბამისი ესკიზისა და ტექნიკური დავალების შედგენა 3 ეგზემპლიარად და დამკვეთისთვის გადაცემა როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით;
- აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მართლზომიერად განხორციელების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ინფორმაციის მოპოვება და მათთან მიზნობრივი კოორდინირება;
- საინფორმაციო მონაცემთა ბაზის წარმოება გამოვლენილი დეფექტების და ტექნიკური დავალების აღნუსხვის, დაარქივების მიზნით და შემდგომ ამ ბაზის დამკვეთისთვის გადაცემა.

## 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად,
ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 06 თებერვლიდან 2012 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. გასაწევი მომსახურების (ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ფარგლებში) კონკრეტული
მოცულობა და მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადები შემსყიდველის მიერ ეცნობება მიმწოდებელს;
4.3. შესყიდვის ობიექტის შესახებ კონკრეტული დავალებები ეტაპობრივად გადაეცემა მიმწოდებელს;
4.5 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორია.

## 5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის თანამშრომლები:
**ივანე ნინიკელაშვილი- გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურისა და ბ.მ.ა. განვითარების დარგში,**
**დავით გაბადაძე- ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი.**
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირები.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს შპს **„ლაბორატორია"**-ს დასკვნა დეფექტური აქტისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის შესახებ.
7.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

## 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, **გაცემული სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ (№PE26965-12) თანხით 538.0 (ხუთას ოცდათვრამეტი)** ლარი, (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით) რომლის მოქმედების ვადაა არაუგვიანეს **2013 წლის 01 თებერვალი.**
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.
8.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.
8.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 9. მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება განხორციელდება ტექნიკური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
9.2.შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის შედეგად რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
9.3.შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 2 კალენდარული დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
*(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)*

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შემსყიდველის მიერ მითითებულ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, — ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
11.2. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
11.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
12.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4 ამ მუხლის 12.1 და 12.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 14. უფლებების გადაცემა

14.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
14.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
14.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

## 15. სუბკონტრაქტორები

15.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
15.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
15.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 16. ფასები

16.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
16.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
16.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

მის. ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის ქ.№1გ

ს/კოდი: 209466843

სს „ლიბერთი ბანკი", ცენტრ. ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა №GE95LB0125152101627000

ტელ. +995 32-318-980,

გამგებელი ---------------- ნოდარ სანდუხაძე

მიმწოდებელი:

შპს „ჯეორესეტი"

მის: ქ. თბილისი, 0179, ბარნოვის ქ. №71

ს/კოდი: 204560242

სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი,

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა № GE87BG0000000268732700

ტელ. 2 34 34 87; 5 99 22 71 07

დირექტორი ---------------- თამაზ შენგელია

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 50

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი — 1 თებერვალი 2012 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი“, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ლაშა ბერაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკოპროექტი“, მისი დირექტორის თამაზ შენგელიას უფლებამოსილი წარმომადგენლის ამზორ ტორონჯაძის (მინდობილობა №1100597972 14.06.2011წ. იხილეთ დანართი) სახით - შემდეგში „მიმწოდებელი“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.2 „შემსყიდველი“ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი“ (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული) მიაწოდებს თვითმმართველ ქალაქ ფოთში, სანიაღვრე არხების ქსელების სისტემის მოწყობის, ს/სახლებში ფეკალური კანალიზაციის სისტემის მოწყობისა და ცენტრალური კანალიზაციის ქსელში ჩართვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას (შემდეგში „მომსახურება“).

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 **შესყიდვის ობიექტი** - თვითმმართველ ქალაქ ფოთში, სანიაღვრე არხების ქსელების სისტემის მოწყობის, ს/სახლებში ფეკალური კანალიზაციის სისტემის მოწყობისა და ცენტრალური კანალიზაციის ქსელში ჩართვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, კერძოდ:

ა) პალიასტომის ქუჩა (ორივე მხარეს), ჩიტაძის ქუჩა (ინგოროყვას ქუჩიდან ორივე მხარე), ჭყონდიდელის ქუჩა (ჩეხოვის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე ორივე მხარე), წულუკიძის ქუჩა (ორივე მხარე), პაიჭაძის ქუჩა) ქსელების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) თავდადებულის ქ. N15, N17 ს/სახლებში ფეკალური კანალიზაციის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

გ) თავდადებულის ქ. N7, N9, N11 ს/სახლების ცენტრალური კანალიზაციის ქსელში ჩართვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

2.2 **შესყიდვის საშუალება** - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

**სატენდერო განცხადების ნომერი - № SPA120001024, 10.01.2012 წ.**

**შესყიდვის კატეგორია** -71300000-საინჟინრო მომსახურებები,

**კლასიფიკატორის (CPV) კოდი** - 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **9999** (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს, დღგ-ს და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა - 2012 წლის 1 თებერვლიდან 2012 წლის 21 თებერვლის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N3) და სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

### 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

### 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.
10.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ფორმით.
10.3 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს რესურსული მეთოდით, წარმოადგინოს მუშა პროექტი მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ მიღებული მითითებებითა და რეკომენდაციებით.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის (მოწვევის შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საკუთარი ხარჯით და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება.
10.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
10.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
10.7 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

## 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ლაშა ზერაია

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12
სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი

ა/ა GE 94LB0120125805505000, ბ/კ LBRTGE22
ს/კ № 215138143

„მიმწოდებელი"

შპს „ჯეორსეტი"-ს
დირექტორის უფლებამოსილი
წარმომადგენელი

ვიქტორ ტორონჯაძე

მის: ქ. თბილისი, ბარნოვის ქუჩა №71
სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ა/ა GE87BG0000000268732700, ბ/კ BAGAGE22
ს/კ № 204560242

# მიღება-ჩაბარების აქტი №

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 27 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით (შემდგომში „მიმღები") და მეორეს მხრივ შპს „ჯეორესეტი", მისი დირექტორის ანზორი ტორონჯაძის სახით (შემდგომში „ჩამბარებელი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2012 წლის 1 თებერვალს გაფორმებული №50 ხელშეკრულების თანახმად შპს „ჯეორესეტი"-მ მოაწოდა თვითმართველ ქალაქ ფოთში, სანიაღვრე არხების ქსელების სისტემის მოწყობის, ს/სახლებში ფეკალური კანალიზაციის სისტემის მოწყობისა და ცენტრალური კანალიზაციის ქსელში ჩართვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (დანართი 1-ის შესაბამისად), თანხით 9999 (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით.

შესრულებული მომსახურების საბოლოო შედეგი მისაღებია მიმღებისათვის. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა მიმწოდებელს არ ანთავისუფლებს გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის (მოწვევის შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საკუთარი ხარჯით, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული მომსახურების ღირებულებას 9999 (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ამასთანავე, მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ვადაგადაცილებულ დღეებზე 99,99 (ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 99 თეთრი).

„მიმღები" „ჩამბარებელი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

შპს „ჯეორესეტი"-ს დირექტორი

ანზორ ტორონჯაძე

## მიღება-ჩაბარების აქტი № 201

ქ. თბილისი 21 მაისი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა, ერთის მხრივ გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილემ ინფრასტრუქტურისა და ბ.მ.ა. განვითარების დარგში ი. ნინიკელაშვილმა და გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა დავით გაბადაძემ და მეორეს მხრივ შპს „ჯეორესეტი"-ს დირექტორმა თ. შენგელიამ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ 2012 წლის 06 თებერვლის №060501-03/30/017 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა შპს „ჯეორესეტ"-მა შეადგინა და ჩააბარა შემსყიდველს გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და შესაბამისი ესკიზები, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით, რაზედაც არსებობს შ.პ.ს. „ლაბორატორია"-ს დადებითი დასკვნები. დეფექტური აქტებისა და ესკიზების შედგენაზე გაწეული მომსახურების ღირებულებამ დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგინა:

| № | ობიექტის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ. ფასი | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქერჩის ქ. №6 კანალიზაციის კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები | გრძ.მ. | 117 | 3.80 | 444.60 |
| 2 | ზარზმის ქ. №3 საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია | გრძ.მ. | 45 | 3.80 | 171.00 |
| 3 | ზაჰესის დასახლება, კასკადის ქ. საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები | გრძ.მ. | 105 | 3.80 | 399.00 |
| | ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით | გრძ.მ. | 267 | | 1014.60 |

**1014.60 (ერთი ათას თოთხმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.**

მომსახურება გაწეულია ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

1. ი. ნინიკელაშვილი

2. დ. გაბადაძე

3. თ. შენგელია

მიღება-ჩაბარების აქტი № 471

ქ. თბილისი

21 ივნისი 2012 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა, ერთის მხრივ გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მოადგილემ ინფრასტრუქტურისა და ზ.მ.ა. განვითარების დარგში ი. ნინიკელაშვილმა და გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა დავით გაბადაძემ და მეორეს მხრივ შპს „ჯეორესტი"-ს დირექტორმა თ. შენგელიამ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ 2012 წლის 06 თებერვლის №060501-03/30/017 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა შპს „ჯეორესტ"-მა შეადგინა და ჩააბარა შემსყიდველს გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე წყალსადენის ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტები და შესაბამისი ესკიზები, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით, რაზედაც არსებობს შ.პ.ს. „ლაბორატორია"-ს დადებითი დასკვნები. დეფექტური აქტებისა და ესკიზების შედგენაზე გაწეული მომსახურების ღირებულებამ დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგინა:

| № | ობიექტის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ. ფასი | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სარაჯიშვილის ქ. №108 წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები | გრძ.მ. | 70 | 3.80 | 266.0 |
| 2 | თ/დ III მ/რ I კვ. №18-19-20-21-22 კორპუსების წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები | გრძ.მ. | 140 | 3.80 | 532.0 |
| | ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით | გრძ.მ. | 210 | | 798.0 |

**798.0 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს,** რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.

მომსახურება გაწეულია ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

1. ი. ნინიკელაშვილი
2. დ. გაბადაძე
3. თ. შენგელია

მიღება-ჩაბარების აქტი №307

ქ. თბილისი

27 აპრილი 2012 წელი

